გაზეთი ღირს

თოვე	მან.	კ.	თოვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

იბერია

აზეთის დასაკვეთად და ყოველ განცხადებისთვ დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თბილისს, ერეკლეს ქუჩაზე, ბარანოვ ძეგლის პირდაპირ, ბ. ... სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას, ... ბანკის სახლებში, ... ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1893

სასწავლებელი და პანსიონი
ჯორჯიკიასი

(ქუთაისი)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(5—4)

ტფილისი

4 სექტემბერს

უმადურობა საზოგადოდ საძრახისი საქმეა. საძრახისია იგი თითოეულის ადამიანისათვის, მაგრამ განსაზღვრელად უფრო საძრახისია და დასაგმობია უმადურობა, როდესაც მთელი ერი, დავალებული და განთავისუფლებული მეორე ერისაგან, იჩენს ამ თვისებას,—ასე მითხრა ამ დღეებში ერთმა ჩემმა მეგობარმა, ძველმა პოლიტიკოსმა შესახებ იტალიის და გერმანიის კავშირისა. ამასთან დასძინა ჩემმა მოსაუბრემ: არ უნდა დავივიწყოთ—დავალებაც არის და დავალებაც. საფრანგეთმა თავის მეომართა სისხლით დაიხსნა იტალია ავსტრიის ბატონობისაგან, შეჰქმნა იგი ერი დიდ სამეფოდ, წილი დაუდო ევროპის სახელმწიფოთა რჩევაში, და ეხლა ამავე საფრანგეთის წინააღმდეგ წასვლა განა ეს „დიდი უმადურობა" არ არისო?

ესეთი თვისება ავსტრიას ჰქონდა აქამდის დაჩემებული, და ეხლა იტალიაც აჭუვა მის მაგალითსა. გაცხარებულს ჩემს დიპლომატს ამ შემთხვევაში ერთი რამ დაავიწყდა, დაავიწყდა რომ ყოველი საქმე, ყოველი დავალება და სიკეთე, დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა განზრახვით არის იგი ქმნილი, რა ხასიათი და რა აზრი აქვს.

პირველი რომ, ერთა შორის დამოკიდებულებაში — პოლიტიკაში—ადიარებულია ერთი პრინციპი. ეს პრინციპი არის ერის საჭიროება. თუ-კი რომელსამე ერს მოუხდება ასეთისა თუ ისეთის კავშირის შეკვრა, მაშინ დიპლომაციის ხელმძღვანელნი იმაზედ არ იწუხებენ თავს—შეესაბამება ასეთი უოფა-ქცევა მტკიცე ზნეობას და პატიოსნებას თუ არა. საჭიროა მხოლოდ დაცული იქმნას ერის კეთილდღეობა, მისი ინტერესები და ამ განზრახვას ყოველივე შეეწირება. ასეა მთელს ცას ქვეშეთს და ასეა იტალია შიც.

მაგრამ ჩვენ სრულიად არ ვადგევართ იმ აზრს, ვითომ ერისათვის ისე როგორც თითოეულის კაცისთვის, სავალდებულო არ იყოს ზნეობის კანონების დაცვა. ვგმობთ და გვძაგს ყოველი უმადურობა და უგულობა, ჩაიდენს ამას ერთი ადამიანი თუ მთელი ქვეყანა.

ზევითა ვსთქვით, რომ ყოველი მოქმედება უნდა დაფასებულ იქმნას იმ მოტივებით, რომელმაც გამოიწვია იგი.

როდესაც ნაპოლეონ III ჯარი ამხედრდა ავსტრიის წინააღმდეგ და სოლფერინოს და მაჯენტის ველზე დაამსხვრია ფრანც იოსების მხედრობა, საფრანგეთის მბრძანებელისათვის იტალიის ერის თავისუფლება-კი არ იყო უგულითადესი აზრი, არამედ იმპერატორს სურდა, საჭიროდ სთვლიდა, რომ შერყეული მდგომარეობა და პრესტიჟი თავის დინასტიისა აღედგინა.

[illegible] ნაპოლეონის [illegible] და აზრი ეს იყო და არა სხვა რამ, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ იგივე მეფე ამხედრდა რუსეთისა, მექსიკისა, და გერმანიის წინააღმდეგ. ვისი განთავისუფლება ჭნებავდა ფრანგთა მბრძანებელს? რომელის სამართლიანობის და ჭეშმარიტების აღდგენა სურდა ამ ქვეყნებში?

ნაპოლეონმა კარგად იცოდა თავის ხალხის ხასიათი და ისეთ რასმეს გამოიგონებდა ხოლმე, რომ ფრანგებისთვის ცოტა სისხლი გამოეშვა და დაეწყნარებინა.

ამ ნაირი ხასიათი ჰქონდა ნაპოლეონის უველა ომებს და ამას გარდა, ვისაც ახსოვს ორსინის წერილი ნაპოლეონთან—ეცოდინება, რომ ეს იტალიის თავ-განწირული პატრიოტი უმტკიცებდა იმპერატორს, სწორედ საფრანგეთისათვის საჭირო იყო იტალიის დახმარება.

იმპერატორმა სრულიად შეითვისა ეს აზრი.

მაგრამ ნაპოლეონმა იტალიას განთავისუფლებაში მაინც გვარიანი კარგი ქრთამი აართვა: ჩამოაცალა სავოია და თვით იტალიის ნამდვილი განმათავისუფლებელის გარიბალდის სამშობლო—ნიცა.

ხოლო ფრანგნი, გატაცებულნი ომის სურვილით, ადტაცებით გაჰყვნენ თავის იმპერატორს და ჰყვიროდნენ: Vive l'Italie! მაგრამ ამავე ფრანგებმა 1848 წ., როდესაც საფრანგეთშიც რესპუბლიკა არსებობდა, არ დაიზარეს და არ ითაკილეს, რომის რესპუბლიკა ძირს დაემხოთ და იტალიის მამულის შვილნი [illegible] ... ნეთავისუფლებინათ სამშობლო გარეშე მპყრობელთაგან, გაფანტეს და დაეხოცეს.

იტალიას ყოველივე ესე ახსოვს და ამიტომაც საფრანგეთისკენ გული არა აქვს.

მეველე

ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

სექტემბრის 2-ს, დილით, მიხეილის სამკუნალოში 4 ხოლერით ავადმყოფი იყო.

რკინის გზისაში სექტემბრის 2-ს, სამი ხოლერით ავადმყოფი იყო. ამ დღეს ხოლერით ავად გახდა რკინის გზის მილის წყლის მემაშინე, რომელიც მატარებლით ტფილისში ჩამოიყვანეს და რკინის გზის სამკურნალოში დააწვინეს.

გუშინ დილით რკინის გზის სამკურნალოში ოთხი ხოლერით ავადმყოფი იყო.

სექტემბრის 3-ს, ტფილისში სულ რვა ხოლერით ,ავადმყოფი დარჩა.

ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ სოგუთ-ბულაღში ხოლერა გაჩნდა.

ახალი ამბავი

*** გუშინ, სეკტემბერს 3-ს, სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I-ლი ნაშუადღევის პირველ საათზედ კავკასიის მთავარ-მართებელ გენერალ-ადიუტანტ ს. ა. შერემეტევთან სასახლეში მივიდა. ამ დროს სასახლეში შეკრებილ იყვნენ ტფილისის გენერლობა. მისალმების შემდეგ, გენერალ-ადიუტანტმა შერემეტევმა გადასცა კათალიკოზს ხელმწიფის რესკრიპტი მთავარ-ეპისკოპოზის ხრიმიანის კათალიკოსად დანიშვნისა და ამასთან კათალიკოსს გადასცა ალმასის ჯვარი ტ წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი პირველის ხარისხისა. კათალიკოსმა წარმოსთქვა რამდენიმე

ფელეტონი

შენიშვნები მეცნიერებისა და ტექნიკის შესახებ

(წერილი ლონდონიდამ)

ვერ დაიპირა თავი ეკონომიურმა კანონმა წარმოების ცენტრალიზაციისამ.—მაშინები წვრილ-წვრილის წარმოებისათვის.—წყალია წყარო და დასაბამი მაშინების ძალ-ღონისა.—გაიაფება ალუმინისა.

ამ საუკუნის დამდეგს და მის შემდეგაც მაშინების მომგონი სულ იმის ცდასა და ფიქრში იყო, რომ მისი მაშინები გამომდგარიყო დიდის წარმოებისათვის. რომელიც მაშინა გინდა ავიღოთ—არკრაიტის საქსოვი მაშინა, თუ ვაიტის ორთქლის მაშინა, ანუ ლოკომოტივი სტეფენსონისა და ათი ათასი კიდევ სხვა, ყოველ გვარის სახისა და ფორმისა, ამ უმთავრეს მაშინებისაგან წარმომდგარი და წარმოშობილი, ხელ-მისაწვდომი იყო მხოლოდ დიდის ფულის პატრონისათვის, ანუ მცირე ფულის პატრონთა ამხანაგობისათვის. რაკი მაშინები იშვიათი იყო და ძვირადაც ჰღირდა, ამიტომ წარმოება ჩაუვარდათ ხელში თითო-ოროლას და სამრეწველო მოქმედება ათიოდ-ასიოდე კაცის მონოპოლიად გადიქცა. ეკონომისტებმა შენიშნესეს გარემოება და გადასწყვიტეს, უთუოდ დიდს ფულს აქვს ასეთი თვისებაო. ამ სახით საეკონომიო მეცნიერებაში კანონად იყო მიღებული, რომ კაპიტალია მიზეზი და დასაბამი წარმოების ცენტრალიზაციისაო. ეკონომისტების აზრით, დიდმა მრეწველობამ უთუოდ უნდა დასჩაგროს და მოსპოს მცირე მრეწველობა, დიდმა კაპიტალმა უნდა ჩაჰყლაპოს მცირე კაპიტალი. ეს, ვითომ და ჭეშმარიტი, აზრი დასკვნილ და დაკანონებულ იქმნა ორმოციან წლების გასულს. მაგრამ რა აღმოჩნდა ბოლოს? ამ უკანასკნელ ორმოცდაათის წლის განმავლობაში თითოეულ კაცთა და სამრეწველო კამპანიათა საკვირველ და საოცარ კაპიტალებთან ერთად გაჩნდა ასი ათასი და მილიონი კიდევ სხვა მცირე კაპიტალი, შუათანა შეძლების კაცთა ქონება, იმათი რიცხვი, რომელნიც სახელმწიფო გარდასახადს იხდიან თავიანთ შემოსავლის კვალობაზე ევროპასა და ამერიკაში, წლითი-წლობითა მატულობს და თვით რაოდენობა ამ გარდასახადისა თანდათან ბევრდება. ეკონომისტების ზემოხსენებული აზრი რომ მართალი ყოფილიყო, ცხადია, არც მათი რიცხვი იქმნებოდა მატებაში, ვინც შუათანა ქონების პატრონია, არც შემოსავლის კვალობაზე გაწერილი ხარჯი იწყებდა გაბევრებას.

**

გარნა მარტო ამ სტატისტიკამ, შემოსავლის კვალობაზე გაწერილ ხარჯისამ, არ დაამტკიცა, რომ ეკონომისტების მიერ შეთხზული კანონი თავს ვერ იჭერს და რომ მათი აზრი შემცდარია. ტეხნიკის და მაშინების მოგონების საქმე, დაწყებული ზემოხსენებულ ინგლისელების წყალობით, ისეთის სისწრაფით წავიდა წინ, რომ სრულიად შესცვალა თვით წესი საერო განათლებისა: საჭირონი შეიქმნენ ინჟენერები, მეხანიკები, ტეხნიკები. სკოლას და სწავლების საქმეს უნდა უარ-ეყო ძველებური, სხოლასტიკური გარეგნობა და სამოსელი. გრამატიკისა და ქრონოლოგიის ზეპირობამ ადგილი დაუთმო ისეთის საგნებისა და მეცნიერების შესწავლას, რომელიც ცხოვრებაშია გამოსაყენებელი. ორმოც -და- ათის წლის განმავლობაში ახალმა სკოლამ გააჩინა და გაამრავლა მცოდნე სპეციალისტები და ტეხნიკები. დაიწყეს ყველგან ძიება და კვლევა. მოგონება მოჰყვა მოგონებასა. პრაქტიკულად გამოსაყენებელმა მეცნიერებამ ისე გაიწია წინ, რომ ერთს კაცს, მეტად გაუჭირდა, თვალ-ყური ეგდო მის წარმატებისთვის. ოც-და-ათი ან და ორმოციან წელთა განათლებულ კაცს ადვილად შეეძლო სცოდნოდა, რასაც იკვლევდა და იძიებდა მეცნიერება, იმიტომ რომ მთელი სამეცნიერო და სატეხნიკო მოღვაწეობა მოთავსებული იყო ლონდონსა და პარიჟში და ორგან-სამგან კიდევ სხვაგან ევროპაში. ეხლა-კი მარტო ამერიკის სატეხნიკო და სამეცნიერო თხზულებანი იმდენი იბეჭდება, რომ ყოვლად შეუძლებელია კაცმა მოახერხოს არა თუ მათი საფუძვლიანად გადაკითხვა, არამედ ოდნავ თვალის გადავლებაც-კი.

**

ასეთი გავრცელება ცოდნისა და ტეხნიკისა მალე დაეტყო თვით ახალ მაშინების ხასიათსაცა. როგორც წინად ტეხნიკა ჰბადავდა ისეთს მაშინებსა და იარაღს, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მრეწველობის არისტოკრატისა და კაპიტალისათვის, ისე ეხლა, ამ ჩვენს დროს, ტეხნიკა სცდილობს მოიგონოს მაშინები და მსწრაფლ სამუშაო იარაღი, გამოსადეგი მცირე მრეწველობისათვის და, ასე გასინჯეთ, ყოველის ხელოსანისათვისაც-კი. პირველად ასე გადემოკრატება მაშინებისა დაიწყეს იქ, საცა ბუდე იყო წვრილმანის მანუფაქტურისა და ხელოსნობისა—ჟენევასა და პარიჟში. ის-ის იყო უნდა მოსპობილიყო წვრილმანი მანუფაქტურა ჟენევისა და ათას გვარი წვრილი ხელოსნობა პარიჟისა, ტეხნიკა რომ არ მიშველებოდა და არ მოეგონა ისეთი მაშინები, რომელსაც ადვილად შეიძენს ყოველი ხელოსანი და მცირე შეძლების კაცი.

როგორც ვიცით, ჟენევა მდებარეობს რონის ორივ ნაპირებზე, იქ, საცა ეს წყალი გამომდინარებს ტბიდამ. რონა კარგა დიდი, ჩქარი მდინარეა და მისი ძალა და ღონე მუდამ გამოსაყენებელი ყოფილა მცხოვრებთათვის; მაგრამ წინად ამ ძალას მხოლოდ წისქვილებისათვის ხმარობ-

სიტყვა, მადლობა გადაუხადა მთავარ-მართებელს და დაბრუნდა თავის სადგომში. ნაშუადღევს მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი მივიდა კათალიკოსთან სადარბაზოდ.

*** დღეს დილით კათალიკოსი დაათვალიერებს ნერსესიანის სომეხთა სასულიერო სემინარიას და დედათა სასწავლებლებს გაიანესსა და ონანოვისას. შემდეგ კათალიკოსი წავა კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გრაფ ი. დ—ძე ტატიშჩევთან და მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოს ვლადიმირთან.

*** როგორც ამბობენ, პატრიარქ-კათალიკოსი მკრტიჩ 1-ლი მომავალ სამშაბათამდე ტფილისში დარჩება.

*** ახლად დანიშნულმა მთაწმიდის ეკკლესიის სამრევლო სკოლაში საპატიო მზრუნველმა კნ. ალ. მაკ. მელიქიშვილისამ თავის ხარჯით დაიჭირა ქირით სახლი სკოლისთვის, უყიდა აგრედვე საკლასო საჭირო ნივთები. კვირას, 5 ენკენისთვეს, დილის 12 საათზედ, გარდახდილ იქმნება სწავლის დაწყების პარაკლისი თანადასწრებით ხსენებულ მზრუნველისა და მრავალთა თანამგრძნობელთა. ეს სკოლა დაარსებულია ქალთათვის. კნ. მელიქიშვილისას სურს იქონიოს პროფესიონარული განყოფილებაც.

სრული იმედია, რომ იმისთანა მზრუნველის მფარველობის ქვეშ, როგორიც არის კნ. მელიქიშვილისა, ხსენებულ სკოლის საქმე კარგად და სამაგალითოდ წავა.

*** ჩვენ მივიღეთ ვანათიდგან (ქართლი) ძღვდელ-ბლალოჩინ იოანე კაპანაძისაგან 15 მანეთი რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ და მასთან სია შემომწირველთა. ამ ფონდისა იყო 167 მან. 20 კ., ეხლა შესდგა 182 მან. 20 კაპ.

*** ჩვენ მივიღეთ სოფ. ბრეთიდამ კნ. ეკატერინე ესტატეს ასულის ავალიშვილისაგან 25 მან, გარდასაცვლენ მარტო ისინი, ვინც მის ახლო-მახლო ბინადრობდნენ. შემდეგ ქალაქმა ააშენა დიდი მანქანა, ჩარხებით წყალის მაღლა ამყვანი. თვითონ რონის წყალი ატრიალებდა ამ ჩარხებს, მანქანა მუშაობდა და წყალი იკრიბებოდა ერთს უზარმაზარს, მაღლობ ადგილზე გაკეთებულს, აუზში. ამ საზოგადო აუზიდამ გაყვანილი იყო მრავალი მილი აქეთ-იქით. წყალი ამ მილებით მოდიოდა ქალაქში, რომელიც ხმარობდა ამ წყალს, როგორც მრავალ თავის საჭიროებისათვის, ისე მანქანების სატრიალებლადა და სამუშაოებლად. ყოველს სახელოსნოში, რომელსაც-კი დაკვეთილი ჰქონდა წყალი მანქანის სატრიალებლად, გამართული იყო პატარა ჩარხი ანუ ჩვენებურის წისქვილის ბორბალი. აი, ამ ბორბალს სცემდა მილიდამ ონკანით დაკეტილი წყალი. ონკანის ხმარებას პატარა უმაწვილიც-კი ადვილად მოახერხებდა, რადგან იმით წყალის გამოშვებას, და მერე ისევ დაკეტას არც ძალა უნდოდა და არც ღონე. ყოველივე ეს მოწყობილობა არავითარს დიდს ხარჯს არა თხოულობდა; მანქანა მუშაობდა თავისთვის და იმად განზრახულ დედათა ქართულ სკოლის კომიტეტის სასარგებლოდ.

*** აბასთუმანში გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს ლეიბ-ოტიარი, სამხედრო სამკურნალო კომიტეტის წევრი, დოქტორი მკურნალობისა პ. პ. ვრედენი. 28 აგვისტოს პეტერბურგის სამხედრო სამკურნალო გამგეობის დარბაზში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: ლეიბ-ექიმი რემერტი, სამკურნალოს გამგეობის წევრნი, გარდაცვალებულის სახლობა და სხვანი.

*** ს. კავთისხევი (ქართლი), 1 სექტემბერი: კავთისხევის და წინარეხის სკოლებმა აბრეშუმის კეთება დაიწყეს 1889 წ., როდესაც თესლი გამოიწერეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან. ამ სკოლების შემწეობით ხალხშიაც გავრცელდა ეს საქმე და, თუ პირველად ერთი-ორი ოჯახი მისდევდა აბრეშუმის კეთებას, ეხლა ბევრნი მისდევენ. აი რა წარმტება ეტყობა:

			კუთვნილებაში	წინარეხში
1890	წ.	აკეთებდა.	15 ოჯახი	5
1891	„	„ . .	22 . .	9
1892	„	„ . .	34 . .	12
1893	„	„ . .	40 . .	20

კავთისხევისა და წინარეხის სკოლის შეგირდები სწავლობდნენ ხელ-საქმესაც და ამ აბრეშუმით ჰქსოვდნენ ჯეჯიმს, თავსაკრავებს, ჩახსაკრავებს, წინდებს, ხელთათმანებს, სარტყელსა და სხვ. 1889 წ. ამ ორმა სკოლამ ჯილდოც მიიღო გამოფენაზედ ტფილისში.

ამას გარდა, ამავე სკოლაში ჰქსოვენ მატყლისას: საჩოხე შალებს, ხალიჩებს, ხურჯინებსა და სხვ. სამძიმო საქმეს უფრო სკოლაში კურსდათავრებული ქალები ასრულებენ.

მთავრობის განკარგულებანი

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი ცირკულარი გაუგზავნია გუბერნატორებისთვის: გაბაეთით სგუბერნიო და სამაზრო ერობათ, მოახდინონ სგანგებო კრება შემდეგის საქმის განსახილველად: შესაძლებელად მიაჩნია თუ არა მთავრობას წელს საერობო გარდასახადი ფულის მაგიერად შეაგროვოს შურით, იმ მაზანდაზე ორთა შუა რიცხვით იქმნება ბაზარში; ამასთანავე აუწყებს, რომ მთავრობას შეუძლიან კრედიტი აღმოუჩინოს გლეხებს, ხოლო იმ პირობით-კი, რომ შურში აღებული სესხი უეჭველად მომავალ წელს იქმნას გარდახდილი.

—

შორაპნის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულო ატყობინებს, რომ მომავალ წელს დაიწყებს თავის მოქმედებას:

მე-4 ნაწილში, დ. სიჩხერეს, 15 ოქტომბრიდგან.

მე-3 ნაწილში, დ. სიჩხერეს, 20 ოქტომბრიდგან.

მე-5 ნაწილში, დ. უკირიდას, 29 ოქტომბრიდგან.

მე-2 ნაწილში, დ. უკირიდას, 4 ნოემბრიდგან.

1 ნაწილში, დ. უკირიდას, 10 ნოემბრიდგან.

ზემოხსენებულ კადაზედ და აღნიშნულ ადგილებში მოკალენი არიან გამოცხადნენ:

1) ისინი, რომელთა წლოვანება შემოწმებულ უნდა იქმნას გარეგან შესედულობით 109—112 მუხლ. ძალით სამხედრო ბეგრის წესდებისა;

2) ისინი, რომელნიც, 158 353 და 354 მუხლ. ძალით სამხედრო ბეგრისა შეგენეულ უნდა ჩაირიცხნენ სამხედრო სამსახურში;

3) ისინი, კისაც კადა მიეცა, წლეკანდელ მოწოდებამდე სამხედრო ბეგრის გარდახდისა;

და 4) უკანა ისინი, კინც ჩაწერილია მოწოდების სიაში, იმათ გარდა:

ა) კინც მდედლად ეკურთხა მართლმადიდებელ, ანუ სხვა საქრისტიანო ეკკლესიისა; აგრედვე მართლ-მადიდებელ ეკკლესიის მადალეთნენი, რომელთაც სწავლა დამთავრებული აქვთ სასულიერო აკადემიაში, სემინარიაში, ან სასულიერო სასწავლებელში.

ბ) კინც სასწავლებელში სწავლობს და საკრებულოს მიერ კადა მიეცა სწავლის დასამთავრებლად;

გ) კისაც კადა მიეცა იმის გამო, რომ სამსახურში იოლება საკეთრო ფლოტის გემზედ, და დ) კისაც I სარისხის შეღავათი აქვს მინიჭებული, გარდა ებრაელებისა; უკანასკნელნი მაინც უნდა გამოცხადდნენ საკრებულოში, თუმცა 1 ხარისხის შეღავათიც ჰქონდეთ მინიჭებული.

დამაკვირდი

უმად გაიხდი თავს,—შენთვის არავინ შეწუხდება, გაბატონდები,—შური არ მოგასვენებს და, თუ შენს ადგილს დარჩი,—არაფერში არ კარგავ, იტყვიან.

გეტე

**

მძიმედ დადის ზარმაცობა და ამიტომაც მალე დაეწევა ხოლმე უქონლობა და სიღარიბე.

ბუასტი

**

ბედი არამც თუ თვითონ არის ბრმა, არამედ იმასაც ბრმავებს, კისაც ეწვევა ხოლმე.

ციცერო

კორრესპონდენცია

—

ს. ფარცხმა (გურია). იმ დროს, როდესაც მთელი გურია სამეურნეო სკოლის განყოფილების დაარსებაზე ზრუნავს, ჩვენ, ფარცხმელები და ახლო-მახლო სოფლელები, ამ საქმეს ჩამორჩენილი ვართ. მაგრამ ვინც ყურს დაუგდებდა ხალხის ლაპარაკს, ამას გაიგონებდა: ამ საქმეში იმისთანა ჩარევია, რომ რაღაც კაი არ არის. ერთი გზობა გვიღალატა, და ახლა კიდევ მაგას ვერ ვენდობითო, ვერა! აქ ერთ ვისმეზედ უჩვენებდნენ, რომელსაც იჯარით აეღო გადასატანად პური ჯარისათვის ომის დროს, რისთვისაც მას გირაო უნდა წარედგინა. X-ს გლეხებიც ჩაუთრევია პირობაში. სახლ-კარით, ადგილ-მამულით და ხარ-კამეჩით. ეს პირობა ვერ შეუსრულებია X-ს, ამისთვის მან და გლეხებმა უნდა გადაიხადონ 14,000 მანეთი პირობის ძალით; თვითოეულ გლეხს, რომელსაც კუჭი უხმება, დღეს უნდა გადაიხადოს ხუთ-ექვს თუმნამდე და შეძლებულთაგანმა ოც თუმნამდე, თუ მეტი არა. ამით შეშინებული ხუთი საზოგადოება, რომელსაც წილი უდევს 14,000 მან. გადახდაში წინააღმდეგია სასწავლებელთან სამეურნეო განყოფილების დაარსებისა. ძალიერ ცხადსურველი იქნება, რომ საზოგადოების სასარგებლო საქმეში ასეთ ერეოდნენ ხალხის შესა შინებლად ზოგიერთი ვაჟ-ბატონები, რომელთაც საზოგადოების წინაშე დანაშაულობის მეტი არა მიუძღვითარა და არ იძახოდნენ: „გლეხებო! ჰქენით აგი ასთე, თვარა ყველას დაგიჭერთო,“ და მით კეთილ საქმეს უკეთურად არ აღიარებიებდნენ. სასურველია აგრედვე შეიგონონ, რომ გურულთან ნება-ყოფლობით ბევრი საქმე გაკეთდება, ვიდრე ბრძანებით.

წვიმების შემდეგ, მოსავლის ცოტა იმედი მოგვეცა.

ვენახი-კი კარგად არის. ზოგიერთა მასწავლებელთა მეოხებით, ალაგ-ალაგ აქაც მოჰკიდეს ვენახის წამლობას ხელი. ის ვენახები, რომელიც ამდენ ხანს მაღალ ხეებზედ იყო გასული, ეხლა დაუშვეს დაბლა და ვენახის პატარა ტოტებს რგავენ მიწაში და ჰხარობს. იმედი აქვს მხნე გურულს, რომ ცოტათი მაინც გამოიბრუნებს ერთხელ სახელ-ქებულ გურულ ღვინოს.

ამ სიცხეების გამო თუთუნიც გაგვიფუჭდა. ალაგ-ალაგ კიდეც ახმა. ხილმა და ხეხილმაც ძლიერ იგვიანა. ერთის სიტყვით, წელს ჩვენში ყველაფერი ნაგვიანევია ამ გვალვის გამო.

ნიკო ფარცხმელი

—

თელავი (1 სექტემბერს): შარშან სოფელ აწყურში, თელავის სასულიერო სკოლის ინსპექტორის შიო შიუკაშვილის თავოსნობით, დაარსდა ორკლასიანი საგანგებო სამრევლო სკოლა. რადგანაც ამ სკოლას გარშემო თითქმის ოთხი დესეტინა მამული აქვს და აგრედვე სკოლის შენობაშიაც საკმაო ოთახები მოიპოვება, ამ ჟამად იმავე ბ-მა შიუკაშვილმა განიზრახა დააარსოს სკოლასთან ერთად სამეურნეო განყოფილება, როგორსაც შესძლებს. გარდა მიწისა და შენობისა, სამეურნეო განყოფილების მოსაწყობად სკოლის ფულიდგან შეიძლება გადიბამ. სწორედ დიდი ქარი აქვს წყალსა!

რომ უფრო ნათლად დავინახოთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ წყალის ძალა ანუ წყლის ქარი, როგორც მდაბიურად იტყვიან ხოლმე, შესაძლოა გარდაიქცეს ელექტრონის ძალად, მოგიყვანთ შემდეგს ციფრებს: 1853 წელს ერთი კილოგრამი ალუმინისა იყიდებოდა 1000 ფრანკად, 1858 წელს—112 ფრანკად; 1888—5 ფრ.; 1891—11—8 და 6 ფრანკად; შარშან—3 ფრ. და 80 სანტიმად; დღეს-კი გაზეთები აცხადებენ, ვითომ ერთს დოქტორს მაიერს ბერლინში მოუგონია ისეთი ადვილი ღონის-ძიება მისის კეთებისა, რომ კილოგრამი 50 სანტიმზე მეტი არ ეღირებაო! აბა სად 1000 ფრანკი და სად ნახევარ ფრანკი!

ნუ დაივიწყებთ, რომ ალუმინს ჟანგი არ ეკიდება, არა შავდება და ადვილად სწევს რკინის მაგიერობასაცა და ფოლადისასაცა, ბრინჯაოს მაგიერობასაცა და ვერცხლისასაცა; ამასთანავე წონაში ალუმინი ორჯელ სუბუქია რკინაზე...

W. Vasiani

ადგილებში სულ ერთია, რა ალაგასაც უნდა ბინადრობდნენ მცხოვრებნი, მაღლობებსა თუ დაბლობებში. ახლა არ იკითხავთ, რა ჰღირს ასეთი ძალა? ის, ვისაც იმდენი ძალა აქვს დაკვეთილი, რამდენის გამოჩენაც შეუძლიან ცხენს ერთს დღეს, იხდის სულ ერთს ფრანკს (ჩვენებურად ხუთი შაურია). თავის დროზე იმდენი აქვთ, რომ ეს ფასი ერთიორად შემცირდება, ესე იგი, ერთის ცხენის ოდენი ძალა ელექტრონისა ეღირება არა უმეტეს 50 სანტიმისაო, ანუ ნახევარ-ფრანკისაო.

ასე გადაქცევა წყალის ძალ-ღონისა, წყალის დიდის ქარისა ელექტრონად, შესაძლებელია მხოლოდ ისეთს ქვეყანაში, საცა ჩქარი და მთა-ალაგიდამ მომდინარე წყლებია. და, აი, სწორედ ამ მხრივ თქვენს მშვენიერს სამშობლოს ბრწყინვალე მერმისი მოელის: ტფილისს ადვილად შეუძლიან მოახერხოს, რომ ელექტრონის განათება იქმნას შემოღებული; ადვილადვე შეუძლიან შინ, სახლში, უგზავნოს ყველას ელექტრონის ძალა თავის საქმის საკეთებლად. ადვილად შეუძლიან იმიტომ, რომ ისეთი ჩქარი და წყალმრავალი მდინარე აქვს, როგორიც არის მტკვარი. წყაღის ძალის გამოყენება და ხმარება მანქანების სატრიალებლად დაუშრეტელი წყაროა სიმდიდრისა და წარმატებისა.

ვინ იცის, ჯერ კიდევ რას არ მოახერხებს და რას არ მოაგვარებს ეხლანდელი ტეხნიკა წყალის გამოყენების საქმეში. ამას კაცი ეხლავე ძნელად მიხვდება და ძნელად წარმოიდგენს. ამ რამდენისამე წლის წინად შვეიცარიის ერთმა კომპანიამ, რომელიც ალუმინის კეთებას მისდევდა, რეინის წყალთ-ვარდნილისა და ჩანჩქერის წყალობით, გააიფა ეს ძვირფასი ლითონი და კილოგრამი მისი 6 ფრანკად გაჰხადა. მერე, განა რა დიდი ხანია მას უკან, როცა ალუმინი ოქროს წონადა ჰღირდა და შვეიცარიის კომპანიის გამარჯვება ამ საქმეში აღიარებულ იქმნა ტეხნიკის საქმეში სასწაულ-მოქმედებად? მაგრამ აი შარშან გამოჩნდა ბაზარში ამერიკის ალუმინი და გაიყიდა... იცით როგორ?—3 ფრანკად და 80 სანტიმად კილოგრამი *). აი, ასეთი საკვირველი იაფობა ჩამოაგდო წყალის ძალ-ღონის გამოყენე-

*) ორ გირვანქა ნახევრამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვას 600 მანათამდე. ამ უკანასკნელ ხანებში ამის შესახებ მოხდა სჯა, რომელზედაც გადაწყვეტილ იქმნა მოეწყოს აწყურის სკოლის მამულზედ პატარა საგანგებო ფერმა, სადაც გლეხ-კაცობას შეეძლოს თვალითა ნახოს ყოველივე რაც-კი სასარგებლო იქნება მეურნეობის განკარგებასათვის. შეძლებისამებრ იქნება მოწყობილი საგანგებო ვენახი, ბოსტანი, პატარა მინდორი სამეურნეო მანქანებათა გამოსაცდელად, საუკეთესო თესლეულების გასავრცელებლად, კოლლექციების შესაკრებად და სხვა. ამ პატარა სამაგალითო ფერმის პროგრამის შედგენა იტვირთა აგრონომმა ბ-მა ფირალოვმა.

წლევანდელ ღვინის მოსავალს უფრო ნაკლები პირი უჩანს, ვიდრე შარშან და შარშანწინ მოვიდა. მეტად ნაკლებ მოსავალს მოელიან ალაზნის გამოღმა სოფლებში, სადაც სხვათა შორის სეტყვამაც დიდი ზარალი მისცა.

წერილი რედაქციის მიმართ

—

„ივერიის“ № 184-ში დაბეჭდილი იყო სიღნაღიდგან გამოგზავნილი პატარა შენიშვნა შესახებ იმ კონცერტისა, რომელიც გავმართე 22 მარიამობისთვეს მოხსენებულს ქალაქში. ამ შენიშვნაში, სამწუხაროდ, რავდენიმე შეცდომა მოსვლია ავტორს.

შენიშვნის ავტორი, იწერება: „კონცერტის შემოსავალი დანიშნული იყო: ერთი ნაწილი ადგილობრივ სომხისა, მეორე ქართველთა ეკკლესიის გუმბათების გასამშვენებლად და მესამე ნაწილიც მომავალ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდაო.“ ნამდვილად კი შემოსავალი დანიშნული იყო და აფიშებით გამოცხადებული შემდეგ საგნებისათვის: ნახევარი მომავალ ქართულ დედათა სკოლის სასარგებლოდ, დანარჩენი ნახევარი ქართულ და სომხურ ადგილობრივ ეკკლესიათა გუმბათების გასამშვენიერებლად.

კოსტანტინე ტურიაშვილი

29 მარიამობისთვეს.

რუსეთი

—

გენერალ-ლეიტენანტმა კოსიჩმა, რუსეთის ჯარის მეოთხე კორპუსის კომანდერმა, მისწერა ცნობილს ქველმოქმედს ე. დ. ნარიშკინს შემდეგი წერილი:

„დღეს, მეფის სიტყვის წყალობით, სცნო მთელმა რუსეთმა, რომ ტამბოვის გუბერნიაში არის ისეთი მოღვაწე, რომელსაც არა თუ არ აშინებს შემოსავალზედ ხარჯის დადება და მომატება, არამედ თვითონ თავის ნება-ყოფლობით შეუტანია თვისი წვლილი, რომ აანთოს ლამპარი ტამბოვის ბნელ მხარეში. თქვენ, ჰეშმარიტად რომ სახარების სიტყვისამებრ, მიაწოდეთ ხელი დავრდომილს და მიჰმართეთ ქრისტეს სიტყვით: „აღსდეგ, აღიღე სარეცელი შენი და ვიდოდე“.

—

გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი 28 აგვისტოს 65 წლისა გახდა.

—

შემუშავებულია პროექტი ცეცხლის მქრობელ საკრებულოთა დებულებისა. ეს პროექტი შინაგან საქმეთა მინისტრის-მიერ წარდგენილ იქმნება სახელმწიფო საბჭოში დასამტკიცებლად. საკრებულოები დაარსდება ყველა სამაზრო ქალაქებში, თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით; წევრებად იქმნებიან: მაზრისა და ერობის უფროსნი, ქალაქისა და ადგილობრივის მემამულეთა წარმომადგენელნი. ამ საკრებულოებს გარდაეცემა ქალაქსა და სოფლებში საქმის მოსაწყობად ნაწილი სამამასახლისოების შემოსავლისა და 50% სოფლის საზოგადოებათა შემოსავლისა სასოფლო მამულზედ გამართულ დუქნებიდგან. თუ დუქნებში თვით სოფლები ვაჭრობენ, მაშინ ცეცხლის ქრობის საქმეზედ უნდა გადაიდოს ნახევარი წმინდა შემოსავლისა. საკრებულოები დაარსდება 1 იანვრიდგან 1894 წლისა.

—

საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულ სამკურნალო რჩევაში ორს კომისიას შეუმუშავებია ახალი პროექტი იმ წესისა, რომლითაც ექიმებმა მაღალის ხარისხის წოდება უნდა მიიღონ. ეხლა საზოგადოდ ეძლევა ხარისხი „სამკურნალო დოქტორისა“, ხოლო შემდეგში, რომელ ექიმსაც, რა ნაწილიც უფრო ექმნება კარგად შესწავლილი, იმის დიპლომს მიიღებს, მაგალითად „დოქტორი ხირურგიისა“ და სხვ. კომისიის-მიერ შემუშავებული პროექტი მალე დასამტკიცებლად იქმნება წარდგენილი.

უცხოეთი

—

იმპერატორის კიჯჰელმის სიტყვა მეცში. ხალხმა სადილი გაუმართა სამოქალაქო მთავრობის წარმომადგენელთ მეცში და იმპერატორმა ვილჰელმმა, რომელიც ამ სადილს დაესწრო, შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

მე დღეს ვსვამ სადღეგრძელოს იმპერიის საფლობელოებისას საერთოდ და ლორენისას საკუთრივ. დიდს, გულითად მადლობას ვუძღვნი ლორენელთ წრფელის გულითა და სულით დახვედრისათვის. ხმა-ამაღლებული სიმხიარულე, შუბლ-გადაწმენდილი სახე, მხურვალე სიტყვა-- აი რასა ვხედავდი გზაში; აი რისათვისა ვარ მადლობის გრძნობით აღტაცებული. იმ ოვაციებში და დღესასწაულობაში, რომელიც მე გამიმართეს მეცსა და მთელ ამ მხარეში, ვხედავ იმის დამტკიცებას, რომ ლორენი თავის თავს კარგად ჰგრძნობს ჩვენს სახელმწიფოში. დღეს აქაური ხალხი ჰხედავს ნაწილს გერმანიის სიდიადისას, გერმანიის ერთობისას: სახელმწიფოს ბატონისასა ‌ᲡᲔ მასთან მჟიდროდ დაკავშირებულთ უმაღლესათა, უგანათლებულესთა ნათესავთა, ბიძაშვილთა და რეგენტთა გერმანიის სამფლობელოისათა. გულითადის კმაყოფილებით ვხედავ, რომ ლორენი მიხვდა სიდიადეს მთელის იმპერიისას და შეიგნო, თვით რა ადგილი უნდა დაიჭიროს ამ იმპერიაში. „ჩვენ, ლორენელი, გულ-ახდილი ხალხი ვართ, კონსერვატორები სულით და ხორცით; ჩვენ, მშვიდობით გარემოცულნი, ვსცდილობთ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, შევიმუშავოთ ჩვენი მინდვრები და დავსტკბეთ ჩვენის შრომის ნაყოფითა“ —აი სიტყვები, რომლებიც მე მომაგებეს კურსელში. ამის გამო, ბატონებო, რათა მოგეცეთ საშვალება თქვენის სურვილის განხორციელებისა და დაგიმტკიცოთ, რომ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის თქვენის საჭიროებისა და აზრების ცოდნას, მე აღვაშენე ჩემთვის თავშესაფარი აქ, თქვენთან, და ვსცხოვრობ ტკბილად ჩემის მეზობლების გვერდით ურვილში. ეს იყოს თქვენს წინაშე იმის თავმდებად, რომ შეგიძლიანთ მშვიდად განაგრძოთ თქვენი საქმე. გაერთებული გერმანია მოგანიჭებთ თქვენ მშვიდობას, თქვენ გერმანელები ხართ და გერმანელებადვე დარჩებით—ამაში შეგვეწევა ღმერთი და გერმანიის ხმალი. მე ვსვამ გერმანიის იმპერიის სამფლობელოებისა და ერთგულ ლორენელთა სადღეგრძელოს. ვაშა! კიდევ ვაშა და მესამედაც ვაშა!

—

ინგლისი. როგორც დეპეშებიდგან უკვე ცნობილია, ინგლისის ლორდთა პალატამ ხელმეორედ უარჰყო ირლანდიის ბილლი. რაც შეეხება ირლანდიის ბილლის მომავალ ბედს, საქმე, როგორც სჩანს, ასე იქნება: პარლამენტს დაითხოვენ, და თუ ახალ არჩევანების შემდეგ გლადსტონის მომხრენი ქვედა პალატაში ისევე უმრავლესობა იქნება არჩეული, ირლანდიის ბილლი მიღებულ იქმნება, მაგრამ, თუ ირლანდიის ბილლს კიდევ რაიმე ხიფათი გამოუტყვრა, მაშინ შეიძლება გლადსტონი დაემუქროს ლორდთა პალატას, იმდენ ლიბერალ პერს დაგინიშნავთ, რომ ბილლის მომხრე უმრავლესობა შესდგეს პალატაშიო. ეს მუქარა მთავრობამ ერთხელ უკვე გამოიყენა, როცა საქმე შეეხებოდა 1832 წლის რეფორმების ბილლსა. იმედია, რომ ასეთი მუქარა ეხლაც იმოქმედებს ლორდებზედ.

—

რუსეთის ზღვაოსნები საფრანგეთში. ამ სათაურით გაზეთ Paris-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

ერთის თვის შემდეგ რუსეთის ესკადრა მოადგება საფრანგეთის კიდეს. ეს ამბავი მეტად კარგი პასუხია გერმანიის და იტალიის მანიფესტაციებისა, გერმანიის იმპერატორის რომში გამგზავრებისა და იტალიის მემკვიდრე პრინცის მისვლისა მეცში. რუსეთის ესკადრის მოსვლა მჭიდროდ დაკავშირებს ორს ხალხს და აამაღლებს ჩვენს სამშობლოს. საფრანგეთის ესკადრამ უნდა ისარგებლოს ბედნიერ შემთხვევით და გამოუცხადოს თვისი სიხარული ამ ხალხთა დაკავშირების გამო, უნდა აღტაცებით მიეგებოს სამშობლოს სახელით, ყველას მაგიერ, განურჩევლად დასთა და რწმენისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ჩვენი ამხანაგი მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთის მწერლობის მანიფესტაციაში, ჩვენთან ერთად მიეგებება რუსთა ზღვაოსნებს და სახელოვანად გაუმასპინძლდება. გვინდა, რომ მანიფესტაცია უდიადესი და დიდმნიშვნელოვანი იყოს. ჩვენ მოვიწვევთ ყველა გაზეთებს მოგვიამხანაგდნენ და ვთხოვთ ყველა გაზეთების გამომცემლებს და დელეგატებს შეიკრიბნენ მოსალაპარაკებლად. ვიმეორებთ: საჭიროა, რომ მანიფესტაცია საერთო, ყველას სურვილის გამომხატველი იყოს.

საფრანგეთის გაზეთების უმრავლესობამ მიიღო კიდეც ეს მოწვევა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ინგლისური გაზეთი Standard-ი ამბობს:

მთელი ქვეყნიერობა მზად არის აღიაროს, რომ საფრანგეთი ძლიერია, დიდებული და პატივსაცემი. ხოლო სამწუხარო ის არის, რომ ეს სახელმწიფო მუდმივისა და დიდის შეიარაღებით სხვა სახელმწიფოებსაც აიძულებს იმავ სამძიმო გზას დაადგნენ. ამ ნაირად საფრანგეთი განუჩინა გერმანიას, დაუსრულებელი ხარჯი და სულის შემავიწროებელი სამხედრო ჭაპანი სწიოს.

ქუთაისის ბანკის საქმე

სიმართლეს მისდევს თუ არა ქუთაისის საოთავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი?

(დასასრული *)

კომიტეტი-კი რას ამბობს სიების გავრცელების შესახებ?

რა საჭიროა სიების გავრცელება საზოგადოებაშიო; ყველამ კარგად იცის თავისი წილი ბანკის დასაფუძნებელი ფულისაო, სიების გავრცელებას მოჰყვება მხოლოდ თაღლითად შედგენილი ვექილობანიო. მაგრამ შეიძლება მე ცილს ვსწამებდე კომიტეტს; სჯობს ისევ საკუთარი მისი სიტყვები ამოვსწერო.

„არ შეიძლება რაიმე დაბრკოლება გამოჩნდეს რწმუნებითი ქაღალდის შედგენის დროს, როცა ამ ქაღალდს შეადგენენ ის პირნი, რომელთაც ამის უფლება აქვსთ!! (თორემ ისინიც-კი ადგენენ, ვისაც არა აქვსთ უფლება. აი სწორედ ამის მოსპობა სურს მოწინააღმდეგე დასს სიების გავრცელებით). რადგან ამათ კარგად იციან, რა ფული აქვსთ ჩატეებული, როგორც დამფუძნებელთ, და იცნობენ დამფუძნებელსაც, რომლის მოადგილეთ თვით არიან, ამისთანა დაბრკოლება მხოლოდ მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს, თუ რწმუნების ქაღალდის შედგენას არ ესწრება ის პირი, რომელსაც ამის უფლება აქვს და ასეთი წესი არ არის სასურველი—ამას ხელის შეწყობა-კი არა,—წინააღმდეგობა უნდა.“

გამოტეხილი უნდა ვსთქვა, რომ უცნაურის მოხერხებით არის თქმული ეს სიტყვა, მაგრამ მაინც ვეცდებით დავსახსროთ იგი და გამოვარკვიოთ ბუნდოვანი აზრი ამ ტირადისა. ავიღოთ მხოლოდ ერთი მარგალიტი ზემო მოყვანილის სიტყვების ფხვიერისაგან, გავსწმინდოთ (თუ კი შეიძლება) და გავსინჯოთ, რა ღირებისაა.

„რწმუნების ქაღალდის შედგენას არ ესწრება ის პირი, რომელსაც ამის უფლება აქვს!.. ე. ი. ვექილობის ქაღალდზე ხელს აწერს ის-კი არა, ვინც უნდა მოაწეროს ხელი, ვისაც უფლება აქვს და იქ არ იმყოფება იმ დროს, არამედ სხვა ვინმე. შეიძლება ეს უფლების მექონე მიცვალებულიც იყოს, მაგრამ, რა უშავს, მის მაგიერ სხვა მოაწერს. შეიძლება ამისთანა შემთხვევა კიდევაც გაგონოს კომიტეტს ან ახსოვდეს კიდეც! არ ვიცი, ეს მისი საქმეა. ამ საქციელს რა ჰქვია სახელად—ეს კარგად უნდა იცოდეს, მგონია იმ ორმა ნაფიცმა ვექილმა, რომელნიც ყოველ-ად არიან დღესთ ზედამხედველ კომიტეტში.

ქართულად, ამას თაღლითობა ეწოდება და რუსულად-კი—„подлогъ“-ი. ეს საქციელი კომიტეტს, რასაკვირველია, არ მოსწონს და ბრძნულს რჩევას იძლევა, რომ ამას ხელის შეწყობა-კი არა, ხელის შეშლა უნდაო.

მერე რად დასჭირდა კომიტეტს ამნაირის რჩევის მოცემა? ალბად სწამებს ვისმეს ამნაირის ბოროტ მოქმედობის ჩადენის სურვილს. ვის სწამებს, ეს-კი ნამდვილად არა სჩანს, მაგრამ თუ-კი კარგად დაუკვირდებით კომიტეტის განაჩენის მთელს მეორე მუხლს და შეუფარდებთ ერთმანერთს სხვა-და-სხვა ადგილს ამ მუხლისას, მაშინ გაიგებთ ვისაც სწამებს.

თავში კომიტეტი ამბობს: ვერ გაგვიგია, რის უნდა უშველოს სიების გავრცელებამ. ჩვენის აზრით, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს სიას და იმას ვერაფერს წაადგებაო. შემდეგ ამბობს: რწმუნების ქაღალდების შედგენის დროს არაფერი დაბრკოლება წარმოსდგება, თუ წესისამებრ შეადგენენ (მაშ სია რა საჭიროა?) და ძალას—მხოლოდ ერთი დაბრალებაო.—ვექილობათა თაღლითით შედგენა უფლების მქონეთა დაუსწრებლად (იგულისხმება, რომელსაც სია მოეშველებაო) მაგრამ ამ დაბრკოლების თავიდამ აცილება სასურველი არ არის. აი ნამდვილი აზრი კომიტეტისა! აქიდამ ის გამოდის, რომ სიის გავრცელებით გავრცელდება თაღლით ვექილობათა შედგენა. ვისი ბრალი იქნება მერე ეს: ოპოზიციისა, რომელიც ჰბეჭდავს და ავრცელებს სიებსაო. „ჩემი შენ გითხარ—გული მოგიკალ“, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ოპოზიციას სწორედ ის ააქვს აზრად, რომ, რაც შეიძლება, შეამციროს ბოროტმოქმედება ვექილობათა შედგენის საქმეში და კომიტეტი-კი იმას ახვევს სკიერზე, თაღლითი ვექილობანი თუ შესდგა, ის მძიმე ცოდვა შენ უნდა ზიდოვო. ოპოზიციას რომ არ დაებეჭდა სიები და არ გაევრცელებინა, ჩიკვაიძე და მისი მომხრენი არ ისარგებლებდნენ ბანკის სიებით, და არ სარგებლობდნენ მთელის ამ სამის წლის განმავლობაში? ამის უარ-ყოფა არ შეუძლია კომიტეტს. ან რა საძრახისია ბრძოლაში იარაღის ხმარება, მხოლოდ იარაღი უნდა იყოს შესაფერი, წმინდა და არა-ბინძური. სიები ერთი ამ ნაირი იარაღთაგანია. იგი გვაძლევს ღონეს წესთა გაცნობისას, მასთან მოლაპარაკებისას მათთან აზრის გაზიარებისას. მარტო ბ-ნ ჩიკვაიძეს რომ ეხმარა ეს იარაღი, როგორსაც ამდენს ხანს ხმარობდა, მაშინ ხომ ადვილად მიხვდებოდა კომიტეტი, თუ რად არის საჭირო სიები? მაშინ ხომ კმაყოფილი იქნებოდა? ოპოზიცია-კი იმ დროს გულ-ხელ დაკრეფილი უნდა ყოფილიყო. ეს უნდოდა კომიტეტს? კმარა ამდენი თვალის ახვევა. დროა, ჩაუკვირდეს საქმის ვითარებას და ადვილად დაინახავს, რომ ეხლანდელი ბრძოლა წინანდელს ბრძოლას არა გავს. ჩაუკვირდეს კომიტეტი საქმეს და მაშინ იმათ წარმოუდგებათ თვალწინ ერთის მხრით ჯინი და პირადობა და მეო-

*) იხ. „ივერია“, № 188

რეს მხრით—საზოგადო საქმისათვის გულშემატკივრობა და საზოგადო უანგარო მოძრაობა. ადვილი გასაგებია და მოსალოდნელიც არის ერთის ან რამდენისამე კაცის მხრითაც ჯინიანობით და უტიფრობით მოქმედება საზოგადო საქმეში, მაგრამ შეგნებულთათვის და მთელის საზოგადოებისთვის მიმხრობა ამ ნაირის მიმართულებისა არც გასაგებია და არც მისატევებელი.

წევრი ოპოზიციისა

ქუთაისი.

უცხოეთის წვრილი ამბავი

ერთი წამი. ერთს გაზეთს დაუბეჭდია შემდეგი ცნობება: ერთ წამში დედა მიწა გაიელის ტრიალით 1,080 მილს. მზის სხივმა ერთს წამში უნდა გაიაროს 11,160,000 მილი, რომ დედამიწამდე მიაღწიოს. ერთს წამს მთელს ქვეყანაზედ იბადება 80 კაცი და თითქმის ამდენივე იხოცება. ერთ წამს საგანგებო მატარებელი გაიელის ერთ მილს, ცხენის რკინის გზის კაგონი 200 მეტრს, ცხენი გადასდგამს 836 ნაბიჯს, კაცი 112 ნაბიჯს. ოთხელ წამს ინგლისის მთავრობას შემოსავალი აქვს 250 მანათი, გასავალი 200 მან. ერთის წამის განმავლობაში მადნებიდგან ამოაქვთ 200 ტონნი ქვის ნახშირი და 61 ტონნი ანტრაციტი.

**

როცა შარეულად ფრანგებმა ალჟირი დაიპყრეს, იქ ძლიერ ბევრი სარაქლემა იყო. სარაქლემებზე ისე გასშირდა ნადირობა, რომ სამოცდა-ათ წლებში თითქმის ერთიანად გასწყვიტეს. ხოლო ინგლისიდგან ალჟირში გადასახლებულთ სარაქლემა მოაშინაურეს და ისე გაამრავლეს, რომ ამ ჟამად ძლიერ დიდი შემოსავალი აქვთ მათის ფრთების გაუდგისაგან. 1865 წელს ინგლისის ახალ-შენებში 80 სარაქლემაზედ მეტი არ იყო, ხოლო ახლა კი 200,000 სარაქლემაა. 1879 წლიდგან 1888 წლამდე აქედგან ევროპასა, აზიასა და ამერიკაში გაუტანიათ 3,000,000 გირვანქა სარაქლემის ფრთა. ამის გარდა ინგლისის გლეხის ცოლები და ქალებიც-კი სარაქლემის ფრთებით ამკობენ თავიანთ შაპოებს. იმავე ცხრა წლის განმავლობაში ინგლისის ახალ-შენიდგან მოტანილი ფრთა სარაქლემისა გაიყიდა 184,000,000 ფრანკად.

15 წლის წინად წყვილი სარაქლემა ღირდა 6 ათასი ფრანკი და მეტიც. ამ ჟამად-კი წყვილი ღირს 100 ან 120 ფრანკი. სარაქლემას ხორცი ცხენის ხორცზედ გემრიელია, კვერცხი-კი ისეთი ნოყიერია და ისეთი დიდრონია, რომ ქათმის ათის კვერცხის ადგილს დაიჭერს.

გასართობი

ლორდი როზბერი და ბოქსი.*) ლორდი როზბერი გასულ შაბათს დაბრუნდა ჰამბურგიდგან, რათა მონაწილეობა მიეღო 24 აგვისტოს (5 სექტემბერს) ლორდთა პალატაში დაწყებულ კრებაზედ ირლანდიის ჰომრულის შესახებ. ეს ლორდი როზბერი ცოტა არ იყოს შეაწუხა შემდეგმა ამბავმა, რომელზედაც ეხლა ბევრსა ლაპარაკობენ ლონდონის სალონებში.

შეერთებულ სამეფოში სცხოვრობს ერთი კეთილშობილი პერი, რომელსაც ყველანი ახირებულ კაცად იცნობენ. ლორდთა შორის ყველასა აქვს თითო საქმე ამორჩეული. მარკიზი სალიუსბერი ცნობილია როგორც დიპლომატი, ლორდი აკტონი—როგორც ნასწავლი კაცი, ლორდი ეილესბერი, როგორც ფულის მფლანგავი, ხოლო ლორდი კინსბერი-კი, რომელზედაც ლაპარაკია,—როგორც გამოჩენილი ბოქსერი—მოკრივე. ბოქსი ძლიერ უყვარს კეთილშობილ ლორდს კინსბერს; მას დაწერილი აქვს საუკეთესო თხზულება ბოქსის შესახებ და ის თხზულება საუკეთესო წიგნად მიაჩნიათ, შოტლანდიის მარკიზს კინსბერის ისე ძლიერ უყვარს სბოქსი, რომ არც ერთს შემთხვევას არ დასტოვებს უიმისოდ, რომ არ მოისურვოს ბოქსის ცოდნის გამოჩენა.

შვილი - ბოქსით განთქმულის მარკიზისა ძლიერ კარგად არის მიღებული ლონდონში და პარლამენტშიაც. სასახლეში ძლიერ უყვართ. დედოფალმა ვიქტორიამ უბოძა მას გრაფობა და ამ გვარად შვილიც ისეთივე პერი გახდა ინგლისისა, როგორიც მისი მამაა.

თითქოს ეს ამბავი სრულიად არ უნდა გამხდარიყო ბოქსის მიზეზად.

მაგრამ შოტლანდიის პერმა ასე არ შეხედა ამ საქმეს. იგი ძლიერ გაკასწყრა და გამოაცხადა, არავის არა ჰქონდა უფლება ჩემდა დაუკითხავად ჩემის შვილისთვის გრაფობა ებოძებინაო. კარგად ვიცი, ეს ვისი ხრიკებია და ვინ მოახერხა, რომ ჩემს შვილს ასეთი ჩემთვის საწყენი წყალობა უბოძესო, და გადასწყვიტა, გადაუხდი ჩემს შეურაცხყოფელსაო.

ლორდმა კინსბერიმ დაუყოვნებლივ ჩაალაგა თავისი ჩემოდანები და გაემგზავრა ჰამბურგს დიდის მუქარით,—ლორდს როზბერის ყურები უნდა დივუსრისოვო. როცა განრისხებული ბოქსერი ჰამბურგს მობრძანდა, ლორდი როზბერი იძულებულ შეიქმნა პოლიციისთვის მიემართა: მინისტრისთვის, რომელიც საზაფხულოდ ისვენებს ხანგრძლივის შრომისაგან, რა თქმა უნდა, ვერაფრად სასიამოვნოა ბოქსის გამართვა, თუ გინდა მისი მოპირდაპირე დიდაც გამოჩენილ და ცნობილ ბოქსერად ითვლებოდეს მთელს ინგლისში. ლონდონსა, ბერლინსა და ჰამბურგს შუა გაიმართა ფიცხელი გაგზავნ-გამოგზავნა დეპეშებისა. ბოლოს როგორც იქმნა, მინისტრი ბოქსისაგან დაიხსნა პრინცმა უელსამ. იგი მივიდა კეთილშობილ მარკიზთან, რომელიც ძლიერ გამწყრალა, ჩემს შვილს გრაფობა რად უწყალობესო, და რა გორც იქმნა, დააშოშმანა და დაუმტკიცა, უცხოელ სახელმწიფოში აურ-ზაურის მოხდენა ვერაფერი საკადრისიაო. კეთილშობილი ბოქსის მოყვარე ლორდი, დაბრუნდა ისევ ინგლისში, თუმცა ძლიერ გულ ნატკენი-კი, რატომ არ მომიხდა ბოქსიო.

*) ინგლისელები ბოქსს მუშტის კრივს ეძახიან.

დეპეშა

2 სექტემბერი

პეტერბურგი. გამოცხადდა დებულება სახელმწიფო ქონებისა და მადნების ამხანაგობათა დამხმარებელ კასებისა.

ნება დართულია პრუსიიდგან პროფესორ ლეფლერის ლაბორატორიდგან რუსეთში უბაჟოდ გადმოტანა თაგვების დასახოცის სახადის ბაცილებისა

ყირიმსა და ორიოლში ხოლერა მოისპო.

პარიჟი. საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთების კომიტეტმა დღეს შეადგინა პროგრამა დღესასწაულებისა რუსეთის ზღვაოსანთა პატივსაცემლად; პროვინციებში გაიმართება დღესასწაულები ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა თანადასწრებით, სახალხო ბანკეტი, დოლი, გიმნასტთა გაჯიბრება, კონცერტი, შუშხუნები და ჩირაღდნები. ხელის--მოწერა ფულის შესაგროვებლად დაიწყება პარასკევს.

3 სექტემბერი

ვენა. საფრთხილო მდგომარეობის დაწესებისათანავე პრაგაში, უკვე შეჩერებულ იქმნა გამოცემა მლადოჩეხების ოთხის გაზეთისა; მლადოჩეხების ყველა კლუბები გაუქმებულ იქმნა.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დისკონტი 5-დგან 4% დასწია.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 31 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

	მაღალ-ლის.	გაბეკი-ლისა.	მაღალ-ლის.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხეთ-მანანიანი ოქრო	7 5/8	7,70	— ,,
ტამოჟნის კუპონები	153 1/4	154	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული . . .	— ,,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის შომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	238 1/2
—შეორისა	— ,,	— ,,	222 1/2
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	191	— ,,	— ,,
გირვანქის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

განცხადებანი

ექიმი

ი. დ. ბევთაბევოვი

გადავიდა ტროიცკის ქუჩაზე, № 5, ფოსტის კანტორის ახლოს.

(2—1)

ივანე იაკობის ძე **დოლგოლენკო** პირველ ენკენისთვიდგან **კვირაობით** კერძო ვექილ **ლოლაძითურთ სამოქალაქო სისხლის სამართლისა და გამიჯვნის საქმეებზედ** მისცემს მსურველთ რჩევა-დარიგებას. სადგური ლოლაძისა, მოსტოვიჩის სახლი, ქ. გორში.

(3—3)

„გაფრთხილება“

ამით ვაფრთხილებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ბ-ნ ოსიპ დაკითის ძის ბაქრაძის მეტი აგენტი არავინ მყავს ტფილისსა, ქუთაისსა, ფოთსა და ბათუმში და არცა თუ სხვაგან სადმე იმ განცხადებათა მისაღებად, რომლებიც «საქართველოს კალენდარში» იქმნების დაბეჭდილი.

ვალ. გუნია

(3—3)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—95)

მამოსადეგი ცნობანი
პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 1/2 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშბი ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ ბროტასევიჩი, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—1 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. ს. კადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7 1/2—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში 1 სექტემბრიდამ 5-მდე მიღებულ იქმნება ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიიბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელს მოსამართლეს) ქ. ტფილისში, სკოლის ზედამხედველს სოფ. წინამძღვარიანთ კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდამ მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდამ და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელს კლასის პირველს განყოფილებაში არ იქმნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენენ: 1) სალმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოკმენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა, და სასოფლო მეურნობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მხრიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯეროობით თთვეში შვიდი მანათი, შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: შესანახავი მთელი წლის ფული 84 მანეთი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станція Мцхетъ, смотрителю Цинамсгваріантъ-карской селско-хозяйственной школы.

Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Сентября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამმოცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ